სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

23 / ოქტომბერი / 2024 წ.

KARR0183177748324

№ **04/1580**

სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს
სახელმწიფო ქონების
პრივატიზების დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ლაშა
დვალიშვილს

ბატონო ლაშა,

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ (შემდგომში - "სააგენტო") განიხილა თქვენი 2024 წლის 21 ოქტომბრის № 6/60438 (რეგისტრირებული დოკუმენტის ნომერი169421 თარიღი: 21.10.2024) მომართვა, რომელიც ეხება ქ. ფოთში, გურიის ქუჩაზე მდებარე 2000 კვ.მ. ფართობის მქონე 04.02.12.987 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებას.

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 04.02.12.987 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის შესაბამისად მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 5- ში. ხოლო, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის N4/4 დადგენილებით დამტკიცებული მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიწის ნაკვეთი მდებარეობს „ჩ" უბანში, სადაც, ფუნქციურ ზონად დადგენილია ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონა.

ვინაიდან, გენერალური გეგმა წარმოადგენს იერარქიულად ზემდგომ გეგმას, 04.02.12.987 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განვითარება შესაძლებელია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმით დადგენილი მოთხოვნათა დაცვით.

ასევე გაცნობებთ, რომ საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის სამეზობლო თმენის პრინციპების დაცვით. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია: კ1-0.5; კ2-1.8; კ3-0.2; სარეკომენდაციო სართულიანობა: 5.

პატივისცემით,

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე